სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის
საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 2 (307) გამოცემის მე-17 წელი
1973 წლის იანვარი

ახალ
საქართველოს,
ახალ მთას
და მდელოს,
ახალ რუსთავს
ვუმღერით ჩვენ!


კარლო კალაძე


რუსთავი 25 წლისაა!






შრომის, სწავლის,
ბედნიერების ქალაქი











ქალაქი

რუსთავი საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი უველაზე ძველი და უველაზე ახალგაზრდა ქალაქია. ძველია იმიტომ, რომ ისტორიულ წყაროებში მას ქალაქის ტიპის დასახლებად ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებისათვის ვარაუდობენ. მის ნიადაგზე ახალგაზრდა ქალაქში კი, აბა, ვის შეეპარება ეჭვი. რუსთავი ჩვენმა სოციალისტურმა სინამდვილემ დაბადა გარდასულ დროთა სივიწროგან მრავალგზის გავერანებულ უკაცრიელ ტრამალზე და კომუნისტური პარტიის ნებით, მოძმე ხალხების უანგარო დახმარებით მძლავრ ინდუსტრიულ კერად აღორძინა.

განახლებული რუსთავის ისტორია ოცდაბუთ წელიწადს ითვლის — მას ხომ ქალაქად გამოცხადების მეოთხედი საუკუნის თარიღი წლეულს 19 იანვარს შეუსრულდა, რისთვისაც ინდუსტრიული ქალაქის მკვიდრნი საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. ძმობისა და მეგობრობის ამ ქალაქში შარშანდელი წლის დამლევს განსაკუთრებულად აღინიშნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავიც, რამდენადაც სწორედ საბჭოთა ერების მონოლითურმა შეკავშირებამ განაპირობა თანამედროვე რუსთავის დაბადება და აღორძინება.

დღევანდელი რუსთავი მრავალეროვანი ქალაქია. შემთხვევით როდი ვუწოდებთ მას 40 ძმის ქალაქს. აქ ერთად ცხოვრობენ და ერთსულოვნად შრომობენ 40-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. შეიძლება ზიამაყით ითქვას, რომ ამ ქალაქში, როგორც მზე წყლის წვეთში, ისე აისახა მთელი ჩვენი ცხოვრება, მთელი ჩვენი ქვეყანა, სადაც მრავალეროვან ოჯახში გაერთიანებულია დიდი საბჭოთა კავშირის თითქმის უველა ხალხი.

რუსთავის მშენებლობაში, რომელიც 1944 წლის გაზაფხულს დაიწყო, მონაწილეობდა მთელი საბჭოთა ქვეყანა, თითქმის უველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენელი. მძლავრი მეტალურგიული ქარხნის დაპროექტების სამუშაოები მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტმა შეასრულა. უახლესი კონსტრუქციების სამშენებლო მექანიზმებს, ზუსტ ხელსაწყოებსა და სხვა აღჭურვილობებს გვაწოდებდნენ ლენინგრადიდან, ჩელიაბინსკიდან, ნოვოკრამატორსკიდან, ურალიდან. ჩვენი ქვეყნის თითქმის უველა რაიონი გზავნიდა აქ საჭირო კადრებს, ხაშენ მასალებს, ძვირფას ამანათებს...

თუ ადრე რუსთაველები მეტალურგიული და ქიმიური წარმოების საიდუმლოებას რუსი, უკრაინელი და სხვა მოძმე ხალხების დახმარებით სწავლობდნენ, დღეს თვითონ არიან სხვათა მასწავლებლები. ჩვენს ქალაქში გაიარეს საწარმოო პრაქტიკა მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობისა და ხამშენებლო ინდუსტრიის დარგში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, კუბის, კორეის, ინდოეთის, ვიეტნამის, ირანისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

დღეისათვის რუსთავი ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებს უფრო მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, ვიდრე ერთად აღებული ისეთი კაპიტალისტური ქვეყნები, როგორიც არის შვეიცია, იტალია, ესპანეთი, იაპონია, ფინეთი, თურქეთი, ნორვეგია.

რუსთავის წამყვან საწარმოდ მძლავრი მეტალურგიული ქარხანა ითვლება. მას ტექნიკურ სიახლეთა საწარმოსაც უწოდებენ და, მართლაც, აქ დაიბადა ისეთი მნიშვნელოვანი სიახლენი, რამაც მთელ მსოფლიოში გაგვითქვა სახელი. ჯერ იყო და, მილსაგლინავი საამქროს დგან „400“-ის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია განხორციელდა, რისთვისაც რუსთაველ 9 სპეციალისტს ლენინური პრემია მიეკუთვნა. რუსთაველ მემარტენეთა დიდი დამსახურებაა აგრეთვე მსოფლიო პრაქტიკაში პირველად ფოლადის უწყვეტ ნაკადად ჩამოსხმის უნიკალური დანადგარის ათვისება რადიალური კრისტალიზატორით, რამაც წარმატებით ჩაანაცვლა პრაქტიკული გამოცდა.

მოძმე რესპუბლიკების მეგობრული დახმარებით ჩვენს ქალაქში მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე უმოკლეს ვადაში აიგო ქიმიური კომბინატის, ქიმიური ბოჭკოს, ცემენტის, ამწესაშენებელი, ლითონკონსტრუქციების, ფოლად-თუჯსახსმელი და სხვა ქარხნები. რუსთავში მოქმედებს 28 მსხვილი საწარმო. მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება პროდუქცია რუსთავის მარკით. სულ უფრო იზრდება ქალაქის პროდუქციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობაში.

ხალხთა ლენინური მეგობრობის სიდიადის დამადასტურებელია ის უანგარო დახმარება, რაც, მაგალითად, შარშან თებერვალში ლუგანსკელმა ქიმიკოსებმა გაგვიწიეს. იმ პერიოდში ჩვენი ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მუშაობა შეფერხდა, რადგან ქიმიური კომბინატი სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო საჭირო ნედლეულს ვერ აწვდიდა. მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფა თვალსაზრისით, საწარმოთა სიმძლავრით, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელითა და მოსახლეობის რაოდენობით, რაც 110 ათასს აღემატება.

რაოდენ სიმბოლურია, რომ რუსთავის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი ატარებს ხალხთა მეგობრობის სახელწოდებას. ესეთივე სახელწოდება აქვს მიკუთვნებული ლარივით გადაჭიმულ ცენტრალურ გამზირს, რომელიც ამ დიდი მეგობრობის შემოქმედის — ვლადიმერ ლენინის სახელობის გამზირის გაგრძელებას წარმოადგენს. აქვე, წლეულს საფუძველი ჩაეყარა ახალ ხეივანს, რომელსაც რუსთაველები ხალხთა მეგობრობის ხეივანს უწოდებენ.

ჩვენს ქალაქს ამშვენებს მის საერთო არქიტექტურულ ანსამბლთან შესანიშნავად შეხამებული საცხოვრებელი კვარტალები 8-9-სართულიანი სახლებით, კულტ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო დაწესებულებათა ფართო ქსელით, გამწვანების ზონებით... ამ კვარტალებს გადაკვეთს 115-ზე მეტი გამზირი და ქუჩა თანამედროვეობის შესატყვისი სახელწოდებებით.

რუსთაველ მშრომელთა განკარგულებაშია 21 საშუალო სკოლა სკოლა-ინტერნატის ჩათვლით, 7 მუშა-ახალგაზრდობის სკოლა, სკოლამდელ დაწესებულებათა ფართო ქსელი, სახელმწიფო დრამატული თეატრი, კინოთეატრები, კულტურისა და დასვენების დიდებული პარკი ხელოვნური ტბით, მეტალურგთა, ქიმიკოსთა კულტურის სასახლეები, მშენებელთა კულტურის სახლი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს დასწრებული განყოფილება, მუსიკალური სასწავლებელი, ორი მუსიკალური სკოლა, ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი, სპორტული სკოლა, ოთხი პროფტექნიკური სასწავლებელი, ჰორწინების სახლი, ჯანმრთელობის დაცვის კერები, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე სახალხო უნივერსიტეტები, ლიტერატურული გაერთიანება, რომელმაც დღემდე რუსთაველი ავტორების მხატვრულ ნაწარმოებთა ოთხი კრებული გამოსცა. რუსთავში გამოდის ერთი საქალაქო და ოთხი მრავალტირაჟიანი გაზეთი.

ჩვენი ქალაქის მკვიდრნი სარგებლობენ კიდევ მრავალი სხვა სიკეთით, რაც მათ საშუალებას აძლევს შინაარსიანად და კულტურულად გაატარონ სამუშაოსაგან თავისუფალი დრო.

ორმოცი ძმის ქალაქ რუსთავში მეგობრობამ ღრმად და შორს გაიდგა ფესვები. ამ კეთილშობილი გრძნობით რუსთავი მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო ჩვენი სამშობლოს თითქმის უველა სამრეწველო ცენტრთან, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანასთანაც. ისინი რუსთავს იცნობენ არა მარტო აქ წარმოებული ფოლადის მილებით, ამწეებითა და მრავალი სხვა პროდუქციით, არამედ სანიმუშო კულტურითა და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ადამიანებით.

ჩვენ დამსახურებულად ვამაყობთ წარმოების მოწინავე ადამიანებით, რომლებმაც მშობლიურ ქალაქს შორს გაუთქვეს სახელი, რომელთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები — მეტალურგები ამირან ფანცულაია, არჩილ ძამაშვილი, ვარდიშ კობერიძე, ქიმიკოსები: ვერა ქჯაია, ელენე კოწიწაშვილი, ამწემშენებელი ანტონინა სობოლევა, მშენებელი შოთა მოდებაძე...

არანაკლებ გვესახელება კულტურის დარგში მომუშავეთა მიღწევები. ქალაქის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, რომელიც არსებობის ხუთიოდე წელიწადს ითვლის, თავისი შაღალმხატვრული და მაღალნიჭიერი სპექტაკლებით საყოველთაო აღიარება პოვა. ამას მკაფიოდ მოწმობს მისი დიდი ვარმატებანი არა მარტო ჩვენი ქალაქის, არამედ მოსკოვის თეატრის სცენაზე, პოლონური და უნგრული დრამატურგიის საკავშირო დათვალიერებებზე. გვეამაყება აგრეთვე მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის რუსთავის ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სალხინოს“ წარმატებანი საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მათ ამას წინათ კვლავ ბრწყინვალედ დაიცვეს საქართველოსა და საბჭოთა ქვეყნის ხელოვნების ღირსება.

დიახ, ვვახარებს დღევანდელი რუსთავი, ძმობისა და მეგობრობის ქალაქი. კიდევ უფრო მეტ სიამაყეს გაგვცემენ მისი ხვალინდელი დღე, წინსვლისა და ზრდის დიდებული პერსპექტივები.

◆

ვლადიმერ კობახიძე,

საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

◆

ქობის ქალაქი

დამსახურებული ჯილდო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან მარუაშვილი** ქართული საბჭოთა გეოგრაფიული სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. ფართო ერუდიციის მკვლევარის შრომები მიძღვნილია ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიის, გეომორფოლოგიის, პალეოგეოგრაფიის, სელეოლოგიისა და სხვა დარგთა აქტუალური პრობლემებისადმი. მარუაშვილის კალამს ეკუთვნის ორასამდე შრომა, რომელთაგან 15 მონოგრაფიაა.

ამას წინათ ქართველი მეცნიერი საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ **ნიკოლოზ პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედლით** დააჯილდოვა.

გამორჩენილი რუსი მოგზაურის, ცენტრალური აზიის უდიდესი მკვლევარის ნიკოლოზ პრჟევალსკის პატივსაცემად, 1891 წელს რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ დააწესა ვერცხლის მედალი და მისი სახელობის პრემია, ხოლო 1946 წელს, საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გეოგრაფიულ მეცნიერებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის შემოიღო პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედალი.

ლევან მარუაშვილი პირველია ქართველ მეცნიერთა შორის, რომელსაც ზემოთ ხსენებული გეოგრაფიის ეს ერთ-ერთი უდიდესი ჯილდო.

ვულოცავთ ქართველ მეცნიერს დამსახურებულ ჯილდოს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს ეროვნული მეცნიერების სამსახურში.

აღიარება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნეირონანატომიის ლაბორატორიის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონული მიკროსკოპიის ს. მეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი არჩილ მიქელაძე არჩეულია დიდი ბრიტანეთის მიკროსკოპიის სამეფო საზოგადოების წევრად. ქართველი ანატომი ამ საზოგადოების პირველი საბჭოთა წევრია. პროფესორი არჩილ მიქელაძე არჩეულია ავრეთვე ელექტრონული მიკროსკოპიის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური ასამბლეის წევრად. ამ ფედერაციაში იგი კრისტალოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტ ბ. ვაინშტეინთან ერთად ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია.

ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მივიღეთ ცნობა, რომ ანატომიურ კვლევაში, კერძოდ, თავის ტვინის შესწავლაში ელექტრონული მიკროსკოპიის განვითარებისა და გამოყენების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის არჩილ მიქელაძე არჩეულია ჟურნალ „მიკროსკოპული და ანატომიური კვლევის“ სარედაქციო საბჭოს წევრად. ეს ჟურნალი ბერლინში გამოდის.

მსოფლიო ლიტერატურის გიგლიოთეკაში

ამ დღეებში „ხუდოჟესტვენაია ლიტერატურამ“ გამოსცა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ორასტომეულის 55-ე ტომი „IV-XVIII საუკუნეების სსრ კავშირის ხალხთა პოეზია“.

ტომში დაბეჭდილია ჩახრუხაძის „თამარიანის“ მე-2, მე-5 და მე-12 ოდები (თარგმანი კ. ბალმონტისა და ს. ლიპკინისა), იოანე შავთელის „აბდულ-მესიის“ ფრაგმენტები (თარგმანი ს. ლიპკინისა), თეიმურაზ პირველის „მაჯამის“ ნაწყვეტები (თარგმანი ი. გურევიჩისა), გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“ (თარგმანი ს. შერვინსკისა), ი. თბილელის „დიდმოურავიანის“ ნაწყვეტები (თარგმანი გ. ცაგარლისა), არჩილ მეორის „გაბაასება თეიმურაზისა რუსთაველთან“ (თარგმანი კ. ლიპსკეროვისა), ვახტანგ მეექვსის ლექსები (თარგმანი ა. კოჩეტკოვისა), ბესიკის ლექსები (თარგმანი კ. ლიპსკეროვისა და მ. პეტროვისა), დავით გურამიშვილის პოემების ნაწყვეტები და ლექსები (თარგმანი ნ. ზაბოლოცკისა) და სხვა.

ტომს დართული აქვს შენიშვნები, სადაც მოცემულია ხსენებული პოეტების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ტექსტებში ხმარებული უცხო სიტყვებისა და სახელების განმარტებები.

სტუმრები რუმინეთიდან

ეხლახან ფოტოკლუბი „საქართველო“ მასპინძლობდა რუმინეთის ჟურნალ „ფოტოგრაფიის“ მთავარ რედაქტორს ლეონიდ ტენესესკუსა და რუმინეთის ფოტომხატვართა ასოციაციის გენერალური მდივნის მოადგილეს ალექსანდრ ზენესკუს.

რუმინელი სტუმრები გაეცნენ მასპინძელთა საქმიანობას, იყვნენ საქინფორმის გამოფენაზე სურათების გალერეაში, შეხვდნენ ნამუშევრების ავტორებსა და ფოტოკლუბების „საქართველოსა“ და „თბილისის“ კოლექტივებს. სტუმრებმა ქართველ მეგობრებს მოუთხრეს რუმინელ მხატვართა ასოციაციის მუშაობაზე, მთელ მსოფლიოში პოპულარულ მხატვრული ფოტოგრაფიის ინტერნაციონალურ სალონზე, რომელიც რუმინეთში ეწყობა. ლეონიდ ტენესესკუმ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილია ქართველი ფოტომხატვრების ბუქარესტში მიწვევა ფოტოკლუბ „საქართველოს“ გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით.

რუმინელმა სტუმრებმა ფოტოკლუბის „საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარეს სიმონ კილაძეს გადასცეს მხატვრული ფოტოგრაფიის სალონის საპატიო დიპლომი და საპატიო მედალი, რომლებითაც რუმინეთის ფოტომხატვართა ასოციაციამ დააჯილდოვა საქართველოს ფოტოკლუბი მხატვრული ფოტოგრაფიის დარგში დამსახურებისათვის.

საერთაშორისო გამოფენაზე

თბილისის საშენი მასალების კომბინატის კერამიკული ნაკეთობანი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მარტო გასულ წელს კომბინატის პროდუქცია გაიგზავნა ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში, კანადაში, იაპონიაში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დანიასა და იუგოსლავიაში.

ეხლა კომბინატის მხატვარი-კერამიკოსები მაღალმხატვრული ქართული კერამიკის ახალი ნიმუშების დიდ პარტიას ამზადებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის გამოფენებზე, აგრეთვე იმ კონკურსგამოფენაზე გასაგზავნად, რომელიც იტალიაში გაიმართება.

მ ი ხ ე ი ლ გოგიჩაიშვილი



საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის კომუნისტებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული მუშაკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მთელი ძალ-ღონე, ნიჭი და ენერგია მიხეილ გოგიჩაიშვილმა მოახმარა ხალხის სამსახურს, კომუნისტური იდეალების, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას.

მიხეილ გოგიჩაიშვილი დაიბადა 1920 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში, აქვე მიიღო განათლება — 1942 წელს დაამთავრა საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

მისი შრომითი გზა დაიწყო თბილისის კუიბიშევის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, სადაც ახალგაზრდა ინჟინერი აირჩიეს კომკავშირის კომიტეტის მდივნად, მალე კი პარტიის წევრობის კანდიდატად.

ორგანიზატორულმა ნიჭმა, საქმიანმა და ადამიანურმა თვისებებმა მიხეილ გოგიჩაიშვილს მალე მოუპოვეს ავტორიტეტი — 1943 წლის დეკემბერში აირჩიეს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივნად, ერთი წლის შემდეგ კი კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში; მოგვიანებით — საქართველოს ალკკ ცკ-ის მდივნად კადრების დარგში, შემდეგ — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

1946-დან 1949 წლამდე მიხეილ გოგიჩაიშვილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელია, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორწლიანი პარტიული სკოლის ლექტორად, უფრო გვიან „საქართველოს კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგის მოადგილედ. თეორიული მომზადების გაღრმავების მიზნით მიხეილ გოგიჩაიშვილს გზავნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში.

1958 წელს მიხეილ გოგიჩაიშვილი იდეოლოგიურ სამუშაოზეა: იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს იდეოლოგიური განყოფილების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე.

1965-დან 1970 წლამდე მიხეილ გოგიჩაიშვილი მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ. 1970 წლის იანვრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მიხეილ გოგიჩაიშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

მიხეილ გოგიჩაიშვილი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად, საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს პროფსაბჭოს წევრად.

კომკავშირული, პარტიული მუშაობა შეადგენდა პატრიოტის, კომუნისტის, სამშობლოს, მშობლიური ხალხის უსაზღვროდ ერთგული ადამიანის სიცოცხლის აზრს. რა პოსტზეც უნდა ყოფილიყო მიხეილ გოგიჩაიშვილი, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი საქმიანობის მასშტაბი, ყოველთვის გამოკვეთილად ჩანდა მისი ბუნების საუკეთესო მხარეები — უმწიკვლო პატიოსნება, დიდი პრინციპულობა, მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, ადამიანებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება.

მნიშვნელოვანია მისი დამსახურება საქართველოს მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაში, იმ ფორმებისა და მეთოდების ძიებასა და სრულყოფაში, რომლებიც მიზნად ისახავენ მშრომელთა უკეთ დარაზმვას პარტიის მიერ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დაეხმარა მას გაევლო კარგი სკოლა, გამოეწრთო, დიდი და დამსახურებული ავტორიტეტი მოეპოვა პარტიულ აქტივში, რესპუბლიკის მშრომელთა შორის.

მას ჰქონდა დიდი ორგანიზატორული გამოცდილება, პრაქტიკული ჩვევები კომკავშირული და პარტიული მშენებლობის დარგში და ღრმად აანალიზებდა, ამუშავებდა პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, რაც გამოვლინდა მის თეორიულ გამოსვლებში გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, სადისერტაციო ნაშრომში, რომლისთვისაც მიხეილ გოგიჩაიშვილს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ჭეშმარიტი პატრიოტი, ინტერნაციონალისტი, ლენინური პარტიის ერთგული მებრძოლი, ბრწყინვალე ორგანიზატორი, ნიჭიერი ლიდერი, ფართო ერუდიციის მქონე ინტელექტუალი, ჭეშმარიტად ადამიანური ხასიათის მიხეილ გოგიჩაიშვილი ყველა ჩვენგანის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება.

ჩვენს წინაშე დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით.

წავიდა ჩვენგან სერიოზული და დაკვირვებული მუშაკი, დიდსულოვანი და მომხიბლავი ადამიანი, წავიდა კომუნისტი, ხელმძღვანელი, ამხანაგი. მისი ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვინც იცნობდა, მუშაობდა მასთან, ხედავდა, თუ რაოდენ დაუზოგავად ახმარდა მგზნებარე კომუნისტი მთელ თავის ძალ-ღონეს კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1973 წლის 16 იანვარს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილის დაკრძალვა

შაბათს, 20 იანვარს დაკრძალეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილი.

დღის 12 საათიდან თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლში, სადაც დასვენებული იყო კუბო მიხეილ გოგიჩაიშვილის ცხედრით, უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ თბილისის მუშები და მოსამსახურენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები, რათა გამოთხოვებოდნენ თვალსაჩინო პარტიულ მოღვაწეს.

...ოფიცერთა სახლის დარბაზი თალხებშია. გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. განუწყვეტლივ იცვლება საპატიო ყარაული. ყარაულში დგებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები, მიხეილ გოგიჩაიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, მეცნიერნი.

არ წყდება ხალხის ნაკადი, რომელიც მოდის მიხეილ გოგიჩაიშვილთან გამოსათხოვებლად. კუბოს გვირგვინებითა და ყვავილებით ამკობენ.

დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. საპატიო ყარაულში დგებიან პავლე გილაშვილი, შალვა კიკნაძე, პავლე მელნიკოვი, ზურაბ პატარიძე, ედუარდ შევარდნაძე, ალბერტ ჩურკინი, გიორგი ძოწენიძე, შოთა ჭანუყვაძე, გივი ჯავახიშვილი, ოთარ ჩერქეზია, ჯუმბერ პატიაშვილი.

მიწყდა სამგლოვიარო მელოდია. დარბაზში რჩებიან განსვენებულის ნათესავები და ახლობლები.

ფრთხილად გადმოაქვთ კვარცხლბეკიდან კუბო მიხეილ გოგიჩაიშვილის ცხედრით, სამგლოვიარო პროცესია ნელი ნაბიჯით მიდის რუსთაველის პროსპექტით და მიემართება საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონისაკენ.

აქ გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მიტინგი გახსნა მიხეილ გოგიჩაიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზურაბ პატარიძემ.

—სამუდამოდ წავიდა ჩვენგან პარტიის, მშობლიური ხალხის უერთგულესი ადამიანი, საოცრად გულისხმიერი და მომხიბლავი კაცი, უნიჭიერესი პარტიული მუშაკი მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილი, — თქვა ზურაბ პატარიძემ. — მთელი მისი ნათელი ცხოვრება აღსავსეა შრომისადმი, მოვალეობის პატიოსნად შესრულებისადმი დაუცხრომელი მისწრაფებით. პარტიისა და სამშობლოს ამ ერთგულ შვილს უსაზღვროდ უყვარდა ადამიანი, იყო თავმდაბალი, გულისხმიერი, პრინციპული, უმწიკვლო და მრავალფეროვანი. კეთილშობილური და მშვენიერია მისი ცხოვრების გზა.

ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე მიხეილ გოგიჩაიშვილი ბევრ რამეს აკეთებდა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით მასების იდეური აღზრდისათვის, პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

სადაც უნდა ემუშავა მიხეილ გოგიჩაიშვილს, სადაც უნდა გაეგზავნა იგი ჩვენს პარტიას — კომკავშირულ თუ ხელმძღვანელ პარტიულ, პროპაგანდისტულ თუ ორგანიზატორულ სამუშაოზე, იგი ყველგან ახსოვთ, როგორც ენერგიული მოღვაწე, ყველგან დაიმსახურა რესპუბლიკის მშრომელთა პატივისცემა და სიყვარული.

წავიდა ჩვენგან დიდსულოვანი ადამიანი და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა.

სამგლოვიარო მიტინგზე მეცნიერთა სახელით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ილია ვეკუა, რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელით — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, კულტურის მუშაკთა სახელით — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი.


მოსკოვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ქვეყნის სხვა ქალაქებიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეებისაგან მოვიდა მრავალი დეპეშა მიხეილ გოგიჩაიშვილის უდროო გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მიტინგზე დეპეშები წაიკითხა დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ზურაბ ახვლედიანმა.

მიტინგი დამთავრდა: მიხეილ გოგიჩაიშვილს ეთხოვებიან ნათესავები, ახლობლები და მეგობრები.

განსვენებულის კუბო საფლავში ჩაუშვეს. საფლავზე ყვავილების ბორცვი აღიმართა.



ახალი თბილისი.



14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

რუსთაველის თეატრი გუშინ, დღეს, ხვალ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მედროშემ რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი არსებობის სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი გზა განვლო.

ეს გზა 1921 წლის 25 ნოემბერს დაიწყო: საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურმა კომიტეტმა დაადგინა, სახელმწიფო დრამის თეატრს (ყოფილ არტისტული საზოგადოების თეატრს) ეწოდოს შოთა რუსთაველის თეატრიო.

შოთა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით კოლექტივში მომავლის იმედითა და რწმენით გამსჭვალული „ახალი სახიობა“ იძერწებოდა:

„მომავალი ჩვენი დიდია, თვალმიუწვდომელი... ძლიერია ქართველი ხალხი თეატრალობის პოტენციით. ქართველის ტანჯვა-გლოვა, სიცილ-ხარხარი და კისკისი, ქეიფი, ჩხუბი, ლოთობა, დღეობა, ლოცვა განსახიერებაა კრიალა თეატრალობისა... ქართველი მუდამ სახიობობს, რადგან მუდამ მღერის. ვინც არ მღერის, იგი არც სახიობობს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არა გვაქვს ნამდვილი ქართული თეატრი; ჩვენი თეატრი არ არის კანონიერი შვილი ჩვენი ხალხის თეატრალობისა... საჭიროა ქართული თვისების ქართველი მსახიობი, რომ შეიქმნას ახალი, ნამდვილი ქართული თეატრი. ქართველი მსახიობი შეჰქმნის გენიალურ ქართულ თეატრს...“

რთული იყო შემოქმედებითი ძიებებით დატვირთული ეს გზა ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე. მარჯანიშვილისეული პერიოდის რუსთაველის თეატრის აფიშებზე მაყურებელი კითხულობს მისთვის უკვე ახლობელი დიდი ქართველი მსახიობების სახელებს: ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, გიორგი დავითაშვილი... წლები კი მიდიან და თეატრალური აფიშა მაყურებელს აუწყებს სანდრო ახმეტელის მიერ განხორციელებული ახალი წარმოდგენების პრემიერებს: სანდრო შანშიაშვილის „ანზორს“, ბორის ლავრენიევის „რვეულს“, შილერის „ყაჩაღებს“, შალვა დადიანის „თეთნულდს“... და კვლავ ქართველ მსახიობთა ახალი სახელები: აკაკი ხორავა, თამარ წულუკიძე, ვასო გოძიაშვილი, ბუბუნუა შავიშვილი, ვანიკო აბაშიძე, ელგუჯა ლორთქიფანიძე, პიერ კობახიძე, ემანუილ აფხაიძე, გიორგი სალარაძე...

1930 წლის ზაფხული. მოსკოვი. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლების დამთავრებასთან დაკავშირებით ანატოლ ლუნაჩარსკი წერდა: „რუსთაველის სახელობის თეატრმა მოსკოვი მოაჯადოვა. ქალაქის საზოგადოებრიობისა და ჩემი აზრითაც, იგი მსოფლიოს მოწინავე თეატრების რიგში ჩადგა. ეს უპირველესად იმის გამო მოხდა, რომ ქართველები თავისთავად წარმოადგენენ შესანიშნავ აქტიორულ მასალას. უდიდესი, არაჩვეულებრივი ტემპერამენტით, თამაშის სერიოზულობით, მოძრაობათა სიმსუბუქით და მეტყველი მიმიკით, რომელსაც სისპეტაკის ბეჭედი აზის, ქართველებმა გააოცეს მაყურებელი. ქართველები დიდ კულტურას ფლობენ. ამის წყალობით მათ შესწევთ უნარი მიაღწიონ იმ განსაზღვრულ ფორმებს, რომელთა საშუალებითაც გამოხატავენ არა მარტო ქართველთა წარსულსა და აწმყოს, არამედ კავკასიის სხვა ხალხთა ცხოვრებასაც. ამ დიდ წარმატებას აპირობებს ისიც, რომ ნიჭიერმა და ყურადღებიანმა სანდრო ახმეტელმა შესანიშნავად იგრძნო ეს არაჩვეულებრივი მასალა და შეჭლო მასთან მუშაობა“.

ხვავიანი აღმოჩნდა რუსთაველის თეატრის კოლექტივისათვის 1936 წლის შემოდგომაც: ბრწყინვალე გამარჯვება მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში და თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოება.

თეატრალური აფიშა კი ძველებურად უხმობს მაყურებელს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრის ახალ დადგმებზე: სანდრო შანშიაშვილის „არსენა“ (დადგმა აკაკი ვასაძისა), ვიქტორ გაბისკირიას „გურიის მთები დაუთოვია“ (დადგმა ივანე პატარიძისა), შექსპირის „ოტელო“ (დადგმა შალვა აღსაბაძისა), სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (დადგმა დიმიტრი ალექსიძისა), ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი“ (დადგმა სერგო ჭელიძისა), კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“ (დადგმა მიხეილ თუმანიშვილისა). გენო გელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“ (დადგმა აკაკი დვალიშვილისა).

მიდიოდა წლები. ძიების, თაობათა ცვლის, სიძნელეების დაძლევისა და ახალ შემოქმედებით გამარჯვებათა წლები. რუსთაველელებს „აკადემიური თეატრის“ საპატიო წოდება მიენიჭათ.

1966 წელი. ისევ მოსკოვი.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი კრემლის თეატრის სტუმარია.

მოსკოველი მაყურებელი თეატრალურ აფიშაზე კითხულობს: შექსპირი — „მეფე ლირი“ (რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი), არტურ მილერი — „სეილემის პროცესი“ (რეჟისორი რობერტ სტურუა), ნოდარ დუმბაძე — „მზიანი ღამე“, (რეჟისორი რობერტ სტურუა), გიორგი ნახუცრიშვილი — „ჭინჭრაქა“ (რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი)... როლებს ასრულებენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, გიორგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე, მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, სალომე ყანჩელი, ედიშერ მაღლაფერიძე, ბუხუტი ზაქარიაძე, გურამ საღარაძე, კარლო საკანდელიძე, მერაბ გეგეჭკორი, ბადრი კობახიძე, ჭემალ ღაღანიძე, იზა გიგოშვილი, მზია მაღლაკელიძე, ბელა მირიანაშვილი, ნოდარ მარგველაშვილი, ივანე ჭინჭიხაძე, დავით შაიშმელაშვილი, ელდარ სახლთხუცესიშვილი, გულნაზ ბაქრაძე, ოთარ ლომიძე, ზაზა ბაწელაშვილი...

კრემლის თეატრის ხალხით გაჭედილი დარბაზი მჭუხარე ტაშით აჯილდოებს ქართველ მსახიობებს. ეს იყო ქართული კულტურის მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება.

გასტროლების დასასრულს რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო რუსთაველელთა წარმოდგენების განხილვა.

— მილერის „სეილემის პროცესი“ ოთხი სხვადასხვა თეატრის დასის შესრულებით მინახავს, — თქვა რსფსრ სახალხო არტისტმა ი. რაევსკიმ, — დღევანდელი მეხუთეა, მაგრამ პირველობას მას ვანიჭებ.

— თქვენი თეატრის დადგმით „მეფე ლირი“ უბრწყინვალესი ნამუშევარია, — ეს სიტყვები გამოჩენილ საბჭოთა პოეტს ნიკოლოზ ტიხონოვს ეკუთვნის, — საბჭოთა ხელოვნების დიდი გამარჯვებაა. თქვენი წარმოდგენა მსოფლიო მოვლენად მიგვაჩნია და ყველა თეატრის სცენას დაამშვენებდა.

და კვლავ შორი გზა. 1967 წელი. ბუქარესტი...

გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტა“ 20 ოქტომბრის ნომერში ვკითხულობთ: „რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები ბუქარესტში ოთხ დღეს გრძელდებოდა; სპექტაკლები, რომლებიც ყოველ საღამოს იცვლებოდნენ, აგრეთვე მეოთხე დღეს ნაჩვენები „თეატრალური ანთოლოგია“, რომელიც მეტ-ნაკლებად მოიცავდა თეატრის მიმდინარე რეპერტუარს და მისი ძალზე განსხვავებული მომენტები, ზოგჯერ გაოცებას იწვევდნენ, ხოლო ზოგჯერ დასაფიქრებელ გაკვეთილადაც წარმოგვიდგებოდნენ“.

წარსულის გაცოცხლებული თბილისური სურათები უწოდეს რუმინელმა მეგობრებმა მერაბ ელიოზიშვილის „ბებერ მეზურნეებს“ (რეჟისორი ლევან მირცხულავა). შემსრულებელთა შორის არიან გოგი ხარაბაძე, მერაბ თავაძე, ვიქტორ ნინიძე, ლია გუდაძე, დავით პაპუაშვილი, ლიკა ჭავჭავაძე, ვალერიან ელოშვილი, თინა სისაური, მანანა გამცემლიძე, ბესო ხიდაშელი, სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, თამარ დოლიძე...

ახლებურად დანახული და გადაწყვეტილი ეს სპექტაკლი თავისებური დალასტურებაა იმ მოჭალაქეობრივი პათოსისა, რის ერთგულებასაც თეატრი ინარჩუნებს არსებობის ნახევარსაუკუნოვანი გზის მანძილზე.

თანამედროვეობის მოქალაქეობრივი პოზიციიდან დაინახა და წაიკითხა თეატრმა შალვა დადიანის „გუშინდელში“, რომლის დადგმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ განახორციელა. მაყურებელი აქ დაკავებულ სხვა მსახიობებთან ერთად ტაშს უკრავს ნანა ფაჩუაშვილს, ტრისტან ყველაიძეს, გივი ჭიჭინაძეს, გურამ გოგავას, ჟანრი ლოლაშვილს, რეზო გოგინაშვილს, მარინე ჭანაშიასა და სხვებს.

რუსთაველის თეატრი მრავალჟანრობრივ შესაძლებლობათა შემოქმედებითი კოლექტივია. ამიტომ არის, რომ ხალხით გაჭედილი თეატრის 850-ადგილიანი დარბაზი მხიარული სიცილითა და ტაშით ივსება, როცა სცენაზეა ავქსენტი ცაგარლის „ხანუმა“, რომლის დადგმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ განახორციელა.

ესეთივე საინტერესო და მრავალფეროვანია რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხვალინდელი დღე.

გიწვევთ ჩვენს თეატრში, ძვირფასო თანამემამულენო!

ოთარ ჭინჭლაძე,
პროფესორი,
რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორი და სარეჟისორო კოლეგიის თავმჯდომარე.



ოტია იოსელიანი — „სანამ ურემი გადაბრუნდება“. გოგოლა — ლეილა ღამბაშიძე, კვხარია — ცუცა მეძმარიაშვილი, აგაბო — სერგო ზაქარიაძე.

ეს სტრიქონები 50 წლის წინათ — 1923 წლის 2 იანვარს დაიწერა. რუსთაველის თეატრს მაშინ სათავეში კოტე მარჯანიშვილი ედგა. აქ, ჩვენთან, რუსთაველის თეატრში დაიწყო სამშობლოში დაბრუნებულმა დიდმა ქართველმა რეჟისორმა თავისი მოღვაწეობა. აქ, რუსთაველის თეატრში დაიბადა პირველი ქართული საბჭოთა სპექტაკლი „ცხვრის წყარო“. ამ სპექტაკლით არსებითად იწყება ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია. რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ ამ წარმოდგენას, რომლის პრემიერა რუსთაველის თეატრში 1922 წლის 25 ნოემბერს გაიმართა, დიდი მოქალაქეობრივი ყღერადობა და მძლავრი იდეურ-მხატვრული ზეგავლენის ძალა ჰქონდა.

რუსთაველის თეატრი, რომელმაც ამგვარად თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვანი გზა განვლო, დღესაც ამ მოქალაქეობრივი პათოსით არის გამსჭვალული და მიაჩნია, რომ სწორედ ეს არის ეროვნული თეატრის უპირველესი დანიშნულება.



ავქსენტი ცაგარელი — „ხანუმა“. სონა — ბელა მირიანაშვილი, აკოფა — რამაზ ჩხიკვაძე, ხანუმა — სალომე ყანჩელი.



მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“. თედო — რამაზ ჩხიკვაძე, ბუთხუზა — კარლო საკანდელიძე, სოსა — ბუხუტი ზაქარიაძე.



დავით კლდიაშვილი — „სამანიშვილის დედინაცვალი“. პლატონი — გიორგი გეგეჭკორი, კირილე — რამაზ ჩხიკვაძე.

ფაქიზთხელ ჰაერსა თანამედროვეობას

ნუტა ბერულავა

ამბავი თბილისის დაბადებისა

I

დიახ, გორგასლის ისარმა
მცხეთასთან დაჭრა ფრთოსანი,
სდიეს და ბოლოს იხილეს
სურათი გასაოცარი:
თაბორის მთაზე მიწიდან
წყარო დიოდა მდუღარი
და ბუბუნებდა გარშემო
ტყე უდაბური, უღრანი.
წყაროსპირ თრთოდა ხოხობი —
ვახტანგმა დაჭრა დასტურ ესს!
აიყვანეს და როდესაც
ცისფერი წყალი ასხურეს,
მიწაზე ჩრდილი დაეცა
აფრენილ ხოხბის ფრთებისა.
მონადირეებს აღმოხდათ
ძახილი გაოცებისა:
— ან უკვდავების წყალია,
ანუ ვიხილეთ სიზმარი! —
ერთურთს შეხედეს და მყისვე
გადაისახეს პირჯვარი.
თითქოს პირველად იხილა
ესე მიდამო ტყიანი,
შეჩერდა გორგასალი და
სიტყვა თქვა გორგასლიანი:
— აი, ეს ციხე თბილისი,
მცხეთის გუშაგი რომ არის,
მე ისე მომჩვენებია,
როგორც იმედი მომავლის.
ჩემი სატახტო ქალაქი
განა იოლად მეთმობა,
მაგრამ დღეიდან თბილისმა
უნდა იკისროს მცხეთობა! —
რაშზე ამხედრდა ხელმწიფე,
გვირგვინოსანი, მზისდარი
და ციხისაკენ გაფრინდა,
როგორც მისივე იხარი.

II

— ვინც ოსტატია ნამდვილი,
დურგალია თუ ქვითხურო,
ვინც მისთვის არა შობილა,
დაჯდეს და შორით გვიყუროს;
ვინც ქართველია ნამდვილი,
ვაუკაცს ქუდი ახურავს,
ადგეს და გამოეშუროს
თბილის-ქალაქის მსახურად! —
ეს მოწოდება ძმათათვის
თვით გორგასალმა დაწერა,
განა პირველი ყოფილა
წიგნი ამგვარი და წვევა!
ცასა მშობლიურს როდესაც
გადაჰფარავდნენ ღრუბლები,
მთელ საქართველოს შესძრავდა
ძახილი თავისუფლების.
კაცი კაცს, სოფელი სოფელს
და კუთხე კუთხეს უთვლიდა;
მშვიდობის ძილი აღარც ერთს
არ ჰქონდა იმავ წუთიდან.
ბედი რომ გაუღიმებდა
ჯარსა ქართველთა მეფისას,
კიდით კიდემდე ისმოდა
ძახილი გამარჯვებისა.
კაცი კაცს, სოფელი სოფელს
და კუთხე კუთხეს უთვლიდა,
რომ ძლიერია ქვეყანა
ძმობით, ხმლითა და გუთნითა.
და შეკრბნენ წინანდებურად
ოსტატნი სახელდებულნი:
უწვერულვაშო მოყმენი
თუ გარჯით გათეთრებულნი.
საომრად როდი უხმობდნენ,
არცა ქვეყახას უჭირდა,
და მაინც კერისპირიდან
მიწა აიღეს მუჭითა...

III

საუკუნეთა სრბოლაში
მკერდშებოლილი მრავალგზის
ზეცისკენ იმზირებოდა
ზვიადი ციხე არმაზის.
უცებ სახახლის ბჭისკარი
შეირხა ელვის ზოლივით
და მეფეს ფეხქვეშ გაეგო
ცისარტყელების ქსოვილი.
იღიმებოდა სვიანად
მეფე ქართლისა ქებული
და თაყვანს სცემდა მორჩილად
დიდოსტატების კრებული.
მტკვარივით ადიდებული
ღელავდა მცხეთის ქალაქი:
მდინარის პირას მოჩანდა
კახელთა დიდი ბანაკი;
მხოლოდ ნიშანსლა ელოდნენ
იმერნი — ლიხის გაღმელნი,
შეკრულნი, შეერთებულნი,
როგორც რიონის ტალღები.
რომ შეამჩნია უეცრად
ეგრისელების ლაშქარი,
ბეფემ სიამით შენიშნა:
— მთელი კოლხეთი აქ არი!
— მესხეთიც, რაჭა-თაკვერიც! —
დასძინეს დარბაისლებმა.
ბევრი ვაჟკაცი იცავდა
მასპინძელ ქართლის ღირსებას.
სატევრებს გადაჰყრდნობოდნენ
ხევსურები და სვანები,
მათი მშობელი მთებივით
ახოვან-სახოვანები...
სრულიად საქართველოში
ისეთი კუთხე არ იყო,
რომლის შვილი და გაზრდილი
მეფის წინ არა მდგარიყო.


IV

და ოსტატებმა, როდესაც
ქალაქის ფუძე გათხარეს,
მიწა ყოველი კუთხისა
შიგ თითო მუჭა ჩაყარეს.
მერე ვახტანგმა დალოცა
მზის ქვეშ თბილისის გაჩენა,
უხსურვა ქართულ რუკაზე
სამარადისო დარჩენა.
ციხეს წაართვა სახელი,
ახალ სატახტოს გადასცა —
ეს უფრო დაშვენდებაო
სამეფოს დედაქალაქსა.
როცა გაიგო ყოველი,
ასე წარმოსთქვა მცხეთამაც:
„მეც ქართლისათვის ვეწამე,
თუ მისთვის ვინმე ეწამა.
მეც ჩემი გმირი ხალხისა
გამიწევია ჭაპანი,
რაც თავზე გარდამხედია,
ზოგჯერ მგონია ზღაპარი.
ქარტეხილების წინაშე
არ გავტეხილვარ ლაჩრულად,
მე ხელმა ჩემმა და ხმალმა
სიცოცხლე შემინარჩუნა.
ავდრიან დღეთა ბურუსშიც
არ ამრევია გზა-კვალი,
არ ჩამჭრობია წამითაც
სამშობლოს ბედის ვარსკვლავი.
აწ პირველობა შენი თქვეს
ხელმწიფემ, ღმერთმა, ქვეყანამ
და წმინდა ლოცვა-კურთხევა
აჰა, მიიღე ჩემგანაც“.


V

მე ეს თქმულება კოლხეთში
აღმოვაჩინე განძივით,
მაგრამ შენს გულშიც ვიპოვე
იმისი ფესვი და ძირი.
— მართალს იძახის ეს ლექსი? —
ვკითხე თელავს და თრიალეთს.
— მართალს იძახის! — შორიდან
ერთბაშად დაიგრიალეს.
ნანგრევმა ნარიყალისამ
და წამებულმა კრწანისმა,
ერთის ხმით დამიდასტურეს
დიდება გორგასალისა.
მითხრეს და განა დავკარგე
ნათქვამი ჩემი ერისა,
ავდექ და გავიმეორე
ძალ-ღონის შესაფერისად.
შვილმა რომ ხელის გულზედაც
კვერცხი მოუწვას დედასო,
ამბობენ, ამაგს იმისას
ვერ გადიხდისო ვერასდროს.
დედა-თბილისის ამაგი
მეც სიკვდილამდე გამყვება,
დავდივარ, მისი შვილობა
მახარებს, მეამაყება.
არვისგან გადაუხდელი,
მე ვინ ვარ, გადავიხადო,
თუნდაც რომ მთელი თბილისი
ჩემს მკერდში გადავიხატო!
მე მხოლოდ ისღა მწყურია,
სულ მისი ზეცა მფარავდეს
და ჩემი ბრძენი ქალაქი
არც როდის გაჰღარავდეს;
მე მხოლოდ ისღა მწყურია,
როგორც გუგუნი მთებისა,
ისმოდეს ქვეყნად ამბავი
თბილისის დაბადებისა!

ჩემი თბილისი




...ვახტანგ მძვა: „იყავნ ქალაქი“...




პიონერთა სასახლე, მთავაროგის სასახლე, უნივერსალური...




ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი



თბილისის მისადგომებთან



მეტროს სადგური „დიდუბე“



ორპირნაკიძის სახელობის მოედანი

1860 წლის სექტემბერში ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმა იყო იმაზე, თუ რა დაემართა მარსელიდან გამოსულ გემს „წმინდა ელენეს“. ზოგი რას ამბობდა, ზოგიც რას. მართლაც ჰქონდათ სალაპარაკო ქუთაისელებს — საჭირო ტვირთი პარიზიდან მარსელში ჩაიტანეს, მარსელიდან გამოსულმა გემმა კი ვერა და ვერ მოაღწია ოდესას.

— თუ ჩაიძირა სადმე, — წუხდა ერთი.

— მაშინ შეგვატყობინებდნენ.

— ვინ იცის, როგორ მოხდა.

— რა ხათაბალაში ჩავცივდით, აჭ კი ყველაფერი მზად არის. ადიდდება რიონი და მერე რაღას იზამ?

...რა მოხდა?

...ახალგაზრდა ინჟინერ-პორუჩიკმა მოკრძალებით შეაღო გენერლის კაბინეტის კარი და შეჩერდა.

— შემოდით, — ხება დართო გენერალმა. პორუჩიკი რომ შევიდა, დაჯდომა ანიშნა. მერე გამომცდელი თვალი შეავლო, გაუღიმა, წამოდგა და კაბინეტში დოინჯშემოყრილი ბოლთის ცემას მოჰყვა.

— თქვენ, ალბათ, იცით დავალება, რომელიც გენერალ-მაიორმა ალბრანდასმა გადმოგცათ.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ.

— მინდოდა გამგზავრების წინ შეგხვედროდით და ორიოდე სიტყვა მეთქვა. წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ — ბევრი გარჯა დაგჭირდებათ. როგორც კი პეტერბურგს ჩახვალთ, ხიდის პროექტი ინჟინერ სობკოსთან მიიტანეთ მაშინვე. გაფრთხილებულია. დაე, გულმოდგინედ შეამოწმოს, რომ არაფერი გამოგვრჩეს. თუ საჭირო იქნება, ნურც გენერალ-მაიორ კურდედზინსკისთან მისვლას დაიზარებთ. ცნობილი სპეციალისტია და უარს არ გეტყვით კონსულტაციაზე. ხიდის პროექტის მოწონების შემდეგ შეეცადეთ, შეძლებისამებრ მალე დაიდოს კონტრაქტი რომელსამე ფირმასთან... ისედაც დავაგვიანეთ. რკინის ხიდი ძალზე საჭიროა ქუთაისისათვის. — ახალგაზრდა პორუჩიკი გულმოდგინედ უსმენდა გენერალს. — თუ კონტრაქტის დადებისთანავე ფულის გადახდა იყოს საჭირო, სატელეგრაფო ხაზის მშენებლობის თანხიდან გადაიხადეთ. დანაკლისს შემოგაშველებთ. ხიდისათვის ჯერაც არაფერი გამოუყვიათ.

— ჩემი აზრით, რკინის ნაწილები პარიზში უნდა შეუკვეთოთ. იქ სპეციალური ქარხანა ამზადებს ხიდებს.

— სამწუხაროდ, ალბათ, ეგრე მოგვიხდება. უკვე მოვაწერე ხელი განკარგულებას პეტერბურგში თქვენს გამგზავრებაზე. ყოველდღიურად დამატებით თანხასაც მიიღებთ. აბა, თქვენ იცით, ოთხ თვეში სხვა საქმეებთან ერთად ეს საკითხიც უნდა მოაგვაროთ.

დიდხანს ესაუბრა ინჟინერ-პორუჩიკ ნიკოლოზ პოსტელნიკოვს გენერალ-ადიუტანტი თავადი გრიგოლ ორბელიანი, ჩვენი სახელოვანი პოეტი. მერე გზა დაულოცა, გადაჰკოცნა და კაბინეტის კარამდე მიაცილა.

გრიგოლ ორბელიანი, რომელიც არაერთხელ ასრულებდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოვალეობას, ცდილობდა კავკასიაში გაეყვანა ტელეგრაფის ხაზი, გაეუმჯობესებინა მიმოსვლის საქმე და, რასაკვირველია, პირველ რიგში აეგო ახალი ხიდები.


ქუთაისი იმ დროისათვის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო ამიერკავკასიაში და მასზე სავაჭრო გზა გადიოდა ევროპიდან აზიაში. სატრანზიტო საქმიანობის, საერთოდ სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოების უმნიშვნელოვანესი პირობა კი გზების კეთილმოწყობა იყო. ეგრეთ წოდებული იმერეთის სამხედრო გზა, რომელიც თბილისს ფოთთან აკავშირებდა, საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო, ხოლო ლიხის გადასასვლელი ევროპის მაშინდელ საუკეთესო გზებს არ ჩამოუვარდებოდა.

სწორედ ამ პერიოდისათვის გახდა საჭირო რიონზე ხიდის აგება. არსებული ხის ხიდი 1848 წელს იყო აგებული და მოძველდა, თუმცა განსაკუთრებული მზრუნველობით იყო მოვლილი (1848 წლამდე რიონზე არსებულ ძველი კონსტრუქციის ხის ხიდს არქიერეისის ხიდს უწოდებდნენ).

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ

ᲬᲐᲠᲬᲣᲚᲘᲓᲐᲜ

პარიზიდან ქუთაისში



პირველი რკინის ხიდი ქუთაისში

ამიტომაც გადაწყდა ქუთაისში პირველი რკინის ხიდის მშენებლობა.

...პოსტელნიკოვმა გაამართლა გრიგოლ ორბელიანის იმედები. მას შემდეგ, რაც ინჟინერ-პოლკოვნიკმა სობკომ პეტერბურგში მოიწონა ქუთაისის რკინის ხიდის პროექტი, პოსტელნიკოვმა პარიზის ქარხნის მეპატრონე კაილის წარმომადგენლებთან სათანადო კონტრაქტიც დადო.

როგორც გრიგოლ ორბელიანი ფიქრობდა, პოსტელნიკოვს კონტრაქტის დადებისთანავე დასჭირდა ფული ხიდის ნაწილების დასამზადებლად და 6.000 მანეთი შეიტანა კაილის ანგარიშზე იმ 15.000 მანეთიდან, რაც თბილის-ქუთაის-ფოთის ტელეგრაფის ასაგებად იყო განკუთვნილი. კონტრაქტის თანახმად პარიზელ მექარხნეს ხიდის ნაწილები საფრანგეთიდან ოდესაში თვითონ უნდა ჩამოეტანა.

რიონზე ახალი ხიდის ასაგებად წინასწარ ჩატარებული გამოკვლევების შემდეგ შერჩეული იყო ხიდის აღგილი ქალაქის ცენტრის პირდაპირ, მდინარის ვიწრო კალაპოტთან. გადაწყდა 18 საჟენიანი სიგრძის ხიდის აგება.

ამ პერიოდში, როცა პარიზში ინჟინერ-პორუჩიკ პოსტელნიკოვის მიერ დადებული კონტრაქტით ხიდს ამზადებდნენ, ქუთაისში უკვე მიმდინარეობდა სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები — აგებდნენ რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე ხიდთან მისასვლელ გზებს და საყრდენებს. ეს სამუშაოები წარმატებით დამთავრდა სექტემბრისათვის. მაგრამ აი სწორედ ამ დროს აღელდნენ ქუთაისელები — საფრანგეთიდან ოდესაშიც კი არ ჩამოეტანათ ხიდის ნაწილები, მაშინ როცა ამ დროისათვის ტვირთი უკვე ფოთში უნდა ყოფილიყო.

ქუთაისიდან პარიზელ მექარხნესთან შეკითხვები გაიგზავნა.

კაილი საპასუხო ცნობაში იუწყებოდა, რომ მარსელიდან სავაჭრო გემმა „წმინდა ელენემ“ ხიდის ნაწილები კონსტანტინეპოლში ჩაიტანა, იქ კი 3 თვე დაჰყო შკიპერის გარდაცვალების გამო. ამჟამად გემი ოდესისაკენ მოემართება.

როგორც 1861 წლის დამდეგს ქუთაისში გაიგეს, რიონის ხიდის ნაწილები ოდესაში მართლაც ჩაიტანეს და გადატვირთეს გემ „ცერარაზე“, რომელიც ფოთისაკენ გამოემართა. მაგრამ როცა სანაპიროს მოუახლოვდა, ქარიშხალი ამოვარდა, გემი ნავსადგურში ვეღარ შეიდა და ბათუმისაკენ აიღო გეზი.

ბათუმიდან ფოთში ხიდის ნაწილების გადაზიდვა დაიწყო პატარა გემმა „გოლუბჩიკმა“, ამიტომ საქმე გაჭიანურდა. როგორც იქნა, ხიდის ნაწილები ურმებით ქუთაისში ჩაზიდეს. ამ დროისათვის რიონი ადიდებული ყოფილა და ხიდის დამონტაჟება შეუძლებელი გამხდარა.

მონტაჟი... მაგრამ ვინ დაამონტაჟებდა ხიდს?

— თქვენ რას იტყვით, — ჰკითხა გრიგოლ ორბელიანმა გზათა VIII ოლქის უფროსს გენერალ-მაიორ ალბრანდასს — იქნებ ქუთაისში თბილისიდან გავგზავნოთ რომელიმე გამოცდილი მექანიკოსი?

— მეც ეგრე ვფიქრობ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. ეს საქმე შეიძლება ითავოს ბუღატოვის ორთქლის წისქვილის მთავარმა მექანიკოსმა ბრახტმა.

— ნუღარ დააყოვნებთ. ხიდის ნაწილები უმწეოდ ალაგია რიონის პირას. პარიზიდან ჩამოვიტანეთ და აქ კი საქმეს ბოლო აღარ უჩანს.

თბილისიდან ქუთაისში მეორე დღესვე გაგზავნეს მექანიკოსი, რომელიც საოცრად კარგად გაერკვა ხიდის ნაწილებში და ისიც კი შეამჩნია, რომ ოდესაში გადატვირთვის დროს ზოგიერთი ნაწილი ნავსადგურში დარჩენილიყო.

— დავიწყებ ხიდის აწყობას, ყველაფერი რიგზე იქნება, — დარწმუნებით განაცხადა მექანიკოსმა.

ხიდის მონტაჟი 1862 წლის 15 იანვარს დაიწყო და 4 მაისს რიონზე რკინის ხიდი უკვე აგებული იყო.

ხიდის გამოცდა 8-10 მაისს წარმოებდა.

1862 წლის 17 მაისს რკინის პირველი ხიდი რიონზე საექსპლუატაციოდ გადაიცა. ეს დღე ქუთაისის მოსახლეობამ დიდი ზეიმით აღნიშნა...

აი „თავგადასავალი“, რომელიც გადახდა პარიზიდან ქუთაისში ჩამოტანილ ხიდს, „წითელ ხიდად“ რომ იწოდება.

სახელოვანმა პოეტმა და გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა კიდევ ერთი კეთილი საქმე გააკეთა მშობლიური საქართველოსათვის.

ლევან ბეზარაშვილი

ᲒᲖᲔ, ᲗᲝᲕᲚᲘ

საქართველოს კურორტების ქებით ვის გააკვირვებ!

მაგრამ ბაკურიანს მაინც სხვა ეშხი და ლაზათი აქვს.

როგორც კი წარმოთქვამთ მის სახელს, თვალწინ წარმოგიდგებათ ტყით დაფარული ულამაზესი მთების კალთები, თოვლით მოფენილი მიდამოები, მზით გარუჯული გოგო-ბიჭები, კისკისით რომ მოაჭრელებენ ციგებს, ჩვენი ტანცენარი ახალგაზრდები, თავდავიწყებით რომ დასრიალებენ თხილამურებით.

იტყვი — ბაკურიანი და თვალწინ დაგიდგება ციდან ფანტელების ცვენა, აი ისეთი, მხოლოდ ბაკურიანში რომ იცის... ცხრაწყაროდან დანახული ცხრათვალა მზე... მზე, თოვლი და თხილამურები — ბაკურიანის ემბლემად ქცეულა თითქოს.

ბაკურიანში შეიძლება დატკბეთ ბუნების განუმეორებელი სილამაზით. აკი ამბობენ კიდეც აქ სტუმრად ჩამოსული ბევრის მნახველი უცხოელები — ზამთრის კურორტი ბევრია ქვეყნად, მაგრამ სილამაზით ბაკურიანთან ვერც ერთი ვერ მოვაო...

ბაკურიანის ისტორიის თხრობას ბოლო 50 წლით დავიწყებ. მაშინ ჩვენს დაბაში ახიოდე კომლი თუ ცხოვრობდა. დღეს ჩვენი სადაბო საბჭო 1.000 კომლს ითვლის 5.000 მოსახლით. ამას თუ დავუმატებთ წელიწადის ყველა დროს უწყვეტ ნაკადად ჩამოსულ დამსვენებლებს, წარმოიდგენთ, თუ რაოდენ სისხლსავსედ ცხოვრობს საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე.

სტუმარი, რომელიც მანქანით გვეწვევა, აუცილებლად მიაქცევს უურადღებას კურორტის მისადგომებთან ხელმარცხნივ, მთის კალთაზე შეფენილ ტყეს, რომელიც ღობით არის შემოვლებული. ეს ბოტანიკური ბაღია, რომლის ფართობი 16 ჰექტარია. ბოტანიკური ბაღი შეგიძლიათ ნახოთ ბაკურიანის ზემოთაც. მისი ტერიტორია ბევრად დიდია — 36 ჰექტარს უდრის და მის მოვლა-პატრონობას ხელმძღვანელობს ადგილობრივი მკვიდრი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ გრიგალაშვილი. აქ ბუნებრივ ტყესთან ერთად გაშენებულია ხელოვნური ნარგავებიც და აშენებულია დასასვენებელი კოტეჯები. პირველი კოტეჯი იოსებ სტალინის მითითებით აშენდა და მას დღესაც „სტალინის სახლს“ უწოდებენ. ბოტანიკურ ბაღში სწავლობენ ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგ სხვადასხვა მცენარეული ჯიშის შეგუების საკითხს, გამოყავთ ახალი ყინვაგამძლე ჯიშები; ცხრაწყაროს მაღალმთიან ხაუვავილეში გამოყავთ ალპიური ყვავილების ახალი სახეობები.

ბაკურიანის მიდამოებში უხვად მოიპოვება მცენარე სენეცია — ყვითელთავა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობისას. აქ აგროვებენ ამ მცენარეს, აქვე მზადდება მისი ნახევარფაბრიკატები და იგზავნება სამედიცინო მრეწველობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბაკურიანის სატყეო მეურნეობას, რომელიც წელიწადში 36.000 კუბურ მეტრ ხე-ტყეს ამზადებს. მეურნეობის ტყეებს, ათასობით ჰექტარზე რომ გადაჰიმულა, შარშან კიდევ მიემატა 300 ჰექტარი ნარგავების ახალი კულტურით. შენდება ახალი სანერგე 3 ჰექტარზე. გვეამაყება, რომ ვერცხლისფერი ნაძვი, რომელიც დღეს თავს იწონებს ბევრგან, სწორედ აქ, ჩვენთან არის გამოყვანილი.


დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაკურიანის ნადირთმშენის მეურნეობასა და ანდეზიტის წარმოებას. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ცხრაწყაროს მაღალმთიანი სადგური, სადაც შეისწავლიან კოსმოსური სხივების ფიზიკის სხვადასხვა ასპექტს. მნიშვნელოვანია აგრეთვე სეისმომედეგური სადგური, რომელიც 1.800 მეტრის სიმაღლეზეა.

შარშან ბაკურიანელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — აშენდა სატელევიზიო ანძა და დღეს თითქმის ყველა ოჯახში კიაფობს ცისფერი ეკრანი.

გაფართოდა საშუალო სკოლა — დაემატა საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, დამხმარე სათავსები.



თოვლის სიყვარულმა ასაკი არ იცის...



კაერშია ახალგაზრდა...

ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

მონტე-კარლო...

მონტე-კარლო და მონაკო დედამიწაზე ალბათ, ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია. ხმელთაშუა ზღვა, საფრანგეთის ლაჟვარდოვანი ნაპირი, სამოთხისებური ბუნება, რომანტიკული სანახები, დაუვიწყარი არქიტექტურა...

თანაც საოცარი კონტრასტების ქვეყანაა, ბურუჟუაზიულ ზნეობას თეატრია. აქ ყველა თამაშობს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: ვინ კაზინოს სცენაზე, ვინ სამორინეს „რულეტისა“ და ბანქოს დარბაზებში.

...„პიკის ქალი“ თეატრში და „პიკის ქალი“ ფსონის ქალალდის სათამაშო მაგიდაზე...

მაგიდებსა და სავარძლებზე ჩვეულებრივი ტყავი კი არა, მაგრენის ტყავია გადაკრული.

ბედისწერასავით ტრიალებს „რულეტის“ მწვანე ხავერდზე პატარა ბურთი და წერასაყოლილ ადამიანებს ბურთივით ათამაშებს.

ციფრები, საკრამენტული ციფრები სამორინეს მაგიდაზე წყვეტენ ადამიანთა ბედს, ილბალს, ზოგიერთ მათი ცხოვრების ძაფსაც.

ტრიალებს ბურთი და, ვინ იცის, რა შავ საქმეებს ატრიალებს სამორინეში დროის ჩარხის უყურებლად ტრიალი...

ადამიანები კლავენ დროს, დრო კლავს — ადამიანებს...

ყველა დარბაზი სავსეა ადამიანებით, ჯიბეები — ფულით და მაინც სიცარიელეს ისე არსად გრძნობს ადამიანი, როგორც აქ, მონტე-კარლოში...

აქ ზოგს ფული აკლია, ზოგს — დრო, ზოგს ორივე ერთად.

ვის ჯიბე აქვს ცარიელი, ვის — თავი, ვის ორივე ერთად... გზააბნეულნი გონიერებას უგუნურებაში ეძებენ და ბედნიერებას — ბედუერებაში, სიკეთეს — ბოროტებაში.

აქ ფული ამოძრავებს ყველაფერს, ადამიანის გაზარმაცებულ ნერვსაც, წარუყვნელ ვნებასაც, ბისტოლეტის ჩახმახსაც და ბედის ბორბალსაც.

სამორინეს მონტე-კარლოში კულტურულ ცენტრად თვლიან. ნამდვილად ბურუჟუაზიული კულტურის კერაა, ბანქოს თამაშისა და ფულის წაგება-მოგების ფერა, ილუზიების მსხვრევის კერა.

— ჩვენ, მონტე-კარლომ, ამერიკას ჯორჯ ბალანჩინი მივეცით, თან რა მოგვცეს? აი ეს — „ჯეკ ბლეკი“[1] — ირონიით წარმოთქვა იქაურმა თეატრალმა და ბანქოს სათამაშო მაგიდაზე მიგვითითა.

— მონტე-კარლო საოცრებათა ქვეყანაა. აქ ერთ ღამეში შეიძლება მილიონერი გახდე, და პირიქით, მილიონერი გაღატაკდე, — თქვა ერთმა ფრანგმა ჯენტლმენმა.

სამორინეს შესასვლელ დარბაზში, სადაც „ბალეტ რუსეს“ და „ბალეტ 1933“ რეკლამებია, დაბატულია ქალი, ბანქოში წაგებულ თეთრეულს რომ იხდის.

დიახ, ქალები თამაშობენ ბანქოსა და „რულეტს“.

მონტე-კარლო ოქროთია მოვარაყებული, მაგრამ ამ ოქროს ფულის ჯუჯუი ფარავს.

სამორინეს თეატრში შევედი. სცენაზე არავინ იყო, არც დარბაზში.

თეატრი მაინც სხვაა, სხვა ფიქრებს, აზრებსა და განწყობილებას ბადებს. მხოლოდ მას შეუძლია განწმინდოს სული იმ ჭუჭყისაგან, რომელსაც ფული აყენებს სამორინეში...

სავარძელში დავეშვი და ფიქრებში ჩავიძირე...

დარბაზში თითქოს იდუმალი ხმა ამეტყველდა და მომესმა ჯაბუკი ბალანჩინის მონოლოგი. ციტუვები სადღაც შორს, სიჩუმის წიაღში იბადებოდნენ... თეატრში ბორგავდა ხმა ჯაბუკი ბალანჩინისა, რომელიც მოწყვეტილი ვარსკვლავივით ცმციმებდა ევროპის ცის კაბადონზე... ბალანჩინი ებრძოდა ბალანჩინს:

ამ ფულის ტიკებს ჩემი დიდება
ისე სჭირდება მონტე-კარლოში,
ვით მკვდარს ექიმის მოვლა
სჭირდება,
და ბალერინას — ძველი
კალოში...

ხმა განაგრძობდა:

ფულის მონობა არა მჩვევია,
მწამს, გზას გავიკვლევ, ნიჭით
საჩინო...
და დღეს მე მხოლოდ ის
დამრჩენია,
რომ უცხოეთში ვიბალანჩინო.

აქ იდუმალ ხმას თითქოს ბზარი გაუჩნდა, ერთხანს დუმდა, მერე კვლავ ალაპარაკდა.

ვინც ხელოვნება ფულში
გაცვალოს,
აწ და მარადის იყოს წყეული,
აქ ჯოჯოხეთში ვეძებ სამოთხეს,
თვით სამოთხიდან გამოქცეული.

თეატრის სცენაზე თითქოს ჯაბუკი ბალანჩინი მოტყდა და დაბერდა. სინანული შეეპარა ხმას.

ხმა იდუმალი გაქრა და მორჩენებაც. ლექსს კითხულობდა თურმე ერთ-ერთი მონტე-კარლოელი პოეზიისა და ბალეტის მოყვარული.

— დიახ, მუსიე, აქ ჯორჯ ბალანჩინმა სცენაზე თამაშით შეძრა მონტე-კარლო და მონაკო — მსოფლიოს ბანქოს მოთამაშეთა იმპერიის კაპიტოლიუმი, მაგრამ აქვე, ჭალბატონები და ბატონები საქართველოდან მოსულმა ხმა ჯენტლმენმა ბანქოს თამაშითაც შეარყია... მონტე-კარლო მონტე-კარლოსავე იარაღით დაამარცხა.

ეს გახლდათ მე-19 საუკუნის გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თანამებრძოლი პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი გიორგი შერვაშიძე.

— ერთხელ პარიზიდან მონტე-კარლოში ჩამოსულან ქართველი სტუდენტები. მათ შორის გიორგი შერვაშიძეც ყოფილა. შეუხედავთ სამორინეში. იქ ვიღაც პრინცებსა და პრინცესებს მასხარად აუგდიათ ისინი — ღარიბ-ღატაკებს აქ არაფერი ესაქმებათო — და შეეცარს უხმეს თურმე: — გაიყვანეთო ეს მათხოვრები აქედან.

ინციდენტი, ალბათ, დუელით დამთავრდებოდა, რომ გიორგი შერვაშიძეს გონებამახვილობა არ გამოეჩინა.

— არა, ბიჭებო, ამ პრინცებს პისტოლეტით ვერაფერს დაუმტკიცებ. ისინი მათივე იარაღით — „რულეტით“ უნდა დაამარცხოთ სამორინეში. — უთქვამს მას და სადარბაზო ბარათი უჩვენებია — ის ხომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი იყო.

...შეება თურმე გიორგი რომელიღაც პრინცს და ვა-ბანკით ითამაშა ნახევარი მილიონი ფრანკი! ითამაშა და... მოიგო!

პრინცმა გაოცებისაგან პირი დააღო თურმე, გიორგი შერვაშიძემ კი, ვითომც არაფერიაო, ის ნახევარი მილიონი შვეიცარს აჩუქა ჯიბის ფულად...

პირდაღებულ სამორინეში ტაშის გრიალი გაისმა თურმე. ეს ვილაც არის, ღატაკი კი არა, მულტიმილიონერი ყოფილაო და ბოდიში მოუხადეს.

რა იცოდნენ, რომ გიორგი შერვაშიძე ნასესხები ფულით დაბრუნდა პარიზში.

—ამ თემაზე, ბატონებო, ერთმა აფხაზმა მწერალმა ნოველაც კი დაწერა, — ვთქვი მე მონტე-კარლოში.

— ეგ შეუძლებელია, ეგ ნოველისტის ფანტაზიაა, — ამბაუურდა მონტე-კარლოს თეატრის დარბაზი.


უხმეს მონტე-კარლოს კაზინოს არქივარიუსს — თითქოს საფლავიდან წამომდგარი მემატიანე შემოვიდა კაზინოში. ჩაიწერა გიორგი შერვაშიძის გვარი და გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და გამოაცხადა:

— კაზინოს მატიანეში წერია ეს ფაქტი — ქართველმა თავადმა, რომლის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ გიორგი ერქვა, ხურდა ფულად დაუტოვა კაზინოს მსახურს მის მიერ გერმანელ პრინცთან მოგებული 200.000 დოლარი...

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მონტე-კარლო ერთხელ კიდევ შეძრა გიორგის ამბავმა.

კაცის სახელი მას ფულში არ გაუცვლია.

ლადო გახტრიონელი,
მონტე-კარლო — თბილისი.



აქ იღუპება ადამიანი სულით და ხორცით

სპორტი

მთამსვლელთა მედლები

ქართველი მთამსვლელები ყოველთვის წარმატებით გამოდიან საკავშირო პირველობებზე. ჯერ კიდევ 1955 წელს მაქსიმე გვაზრლიანმა, ალექსანდრე ნემსიწვერიძემ და გრიგოლ გულბანმა პამირის მთიანეთის ექვსიათასიან მწვერვალ „ენგელსის“ პიკის ჩრდილოეთი კედლით დალაშქვრისათვის ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ამ ჯილდოს შემდეგ წელს ოქროს მედლები მოპყვა, რომლებიც მიხეილ ხერგიანს, ჯუმბერ მეძმარიაშვილს, იოსებ კახიანსა და ლევან ახვლედიანს საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი მწვერვალის — სტალინის პიკის აღებისათვის გადაეცათ. ქართველ მთამსვლელებს არც მომდევნო წლებში შეურცხვენიათ თავი და არაერთგზის მოუპოვებიათ „ოქრო“ და „ვერცხლი“, ეხლა უკვე ამ ტრადიციას ახალი თაობა აგრძელებს, თაობა, რომელიც მიჰყვება წინამორბედთა კვალს. საქმე ის არის, რომ წლევანდელ კონკურსში წარმატებით გამოვიდა მოსიმაღლე (6.000 მეტრზე ზევით) ქართველ მთამსვლელთა გუნდი, რომელშიც ძირითადად ქუთაისელი სპორტსმენები შედიოდნენ (აქ იყო ახალგაზრდა გიორგი ახვლედიანიც). საგულისხმოა, რომ ოქროს მედლების პრეტენდენტებმა პამირში, მწვერვალ ლარმოზე მთამსვლელთა ტრადიციისამებრ 15 წლის წინათ დატოვებული წერილი ჩამოიტანეს. ეს წერილი 1957 წელს ჯუმბერ მეძმარიაშვილის ჯგუფმა დატოვა, რომელშიც გიორგის ორი ბიძა — ლევანი და ზურაბი იყვნენ...

ამჯერად ქართველი მთამსვლელები იბრძოდნენ ტექნიკურად მაღლივი მწვერვალების დალაშქვრასა და ტრავერსებში პირველობისათვის.

ტრავერსში მონაწილეობდნენ მთამსვლელები გიორგი ახვლედიანი და გარი ვარდანიანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ და დაჯილდოვდნენ ოქროს მედლებით. ნაზიმ ნემსიწვერიძემ შეასრულა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა.

და თხილამურები

მშრომელთა დასვენებას ემსახურება სათხილამურო ბაზა-პანსიონატი, რომლის კომპლექსში შედის სამი ტრამპლინი — 90, 70 და 25-მეტრიანი.

ბაკურიანს შეემატა „ჭარიწალას“ ბაზა, ცეკავშირის პანსიონატი, „მზიურ ველზე“ განლაგებული საერთაშორისო ახალგაზრდობის გამაჯანსაღებელი ბანაკი, სადაც ხშირად ისვენებენ უცხოელი ტურისტები. შარშან გვეწვივნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ვიეტნამის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. წელსაც ბევრ სტუმარს ველით. ახლო მომავალში ეს ბანაკი ერთიორად გაიზრდება. აქვეა გათვალისწინებული ზამთრის საცურავი აუზის მშენებლობა.

დაწყებულია 11-სართულიანი სასტუმრო „ინტურისტის“ აგება. წლეულს ექსპლუატაციაში გადაიცემა ახალი წყალსადენი.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ზოგ საწარმოს ბაკურიანში აგებული აქვს აგარაკები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ბანაკი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ მუშაობს, ჭიათურის ბავშვთა დასასვენებელი სახლი, ხორცისა და დამზადების სამინისტროს დასასვენებელი სახლი და სხვა.

შენდება და წლეულს ექსპლუატაციაში გადაიცემა თბილისის გეოლოგიური პარტიის პიონერთა ბანაკი, რომელიც ერთდროულად 200 ბავშვს მიიღებს. აშენდება სოხუმის ფიზიკის ინსტიტუტის ოთხსართულიანი დასასვენებელი სახლი 160 საწოლზე, პროფკავშირების პიონერთა ბანაკი 270 ადგილზე. სასტუმრო მალე 100 საწოლით გაფართოვდება. დაიწყება საკურორტო სამმართველოს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დასასვენებელი სახლების, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ბაზის მშენებლობა. უკვე შენდება დამატებით 200-ნომრიანი სატელეფონო სადგური.

წლეულსვე არის გათვალისწინებული 50-მეტრიანი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინის მშენებლობა. გაფართოვდება უკვე არსებული საციგაო ტრასა. წლეულსვე ბავშვების სამსახურში ჩადგება პატარა ცემის ბავშვთა სატყეო სკოლა-სანატორიუმის სპორტული დარბაზი.

შარშან ბაკურიანში მუშაობა დაიწყო საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ჰიგიენის სახლმა. მოასფალტდა და ლამპიონებით დამშვენდა ბაკურიანის წრიული გზა. არსებულ მოკლე-მეტრაჟიან — 200-მეტრიან 5 საბაგირო გზას მალე დაემატება ახალი საბაგირო გზა — „მიტარბი — კოხტა მეორე“. გათვალისწინებულია აგრეთვე კეთილმოწყობილი საბაგირო გზის გაყვანა ბაკურიანის დასახლებიდან კოხტა მეორემდე. ამ მშენებლობას ტურიზმის სახელმძღვანელობს.


მომდინარეობს ბორჯომ-ბაკურიანის სამანქანო გზის რეკონსტრუქცია. ძველი, პატარა ორთქლმავალი, რომელსაც ამდენი ჯაფა ადგებოდა ბაკურიანის აღმართზე ასვლისას, ახალი ტიპის ელექტრომავლებმა შეცვალეს.

ბაკურიანის მშენებლობას საქართველოს რამდენიმე სამშენებლო ორგანიზაცია ემსახურება.

ჩვენი დაბის ცხოვრების სურათი ნათელი იქნება, თუ ნათქვამს დავუმატებთ, რომ ბაკურიანში მეგობრულად ცხოვრობენ 11 ეროვნების წარმომადგენლები, რომ ბაკურიანს აქვს საკუთარი საავადმყოფო, ამბულატორია, აფთიაქი, ბავშვთა სანატორიუმი, სკოლა, სახალილოები, რესტორნები, ბარი, კაფეები, სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები, უნივერმაღი, მუსიკალური სკოლა, სბავშვო ბაღები, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ბაზასთან არსებული ბავშვთა სპორტული სკოლა და სხვა.

დაე, იცოდნენ ჩვენმა თანამემამულეებმა, რომ ბაკურიანი კეთილი და გულუხვი მასპინძელია ყველა იმათი, ვისაც უყვარს მზე, თოვლი და თხილამურები...

ელგუჯა ორჯონიკიძე,
ბაკურიანის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.




მშრომელთა დასვენების ხეობაში



ბაკურიანის კონტრასტები

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები

დიდი მეცნიერი



ჩვენმა მეცნიერებამ უმძიმესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა დიდი ქართველი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ჩუბინაშვილი.

გიორგი ჩუბინაშვილი ეკუთვნოდა იმ იშვიათ მკვლევართა რიცხვს, რომელნიც მეცნიერებაში ახალ ფურცლებს შლიან, ახალ დარგებს აფუძნებენ და ახალ პერსპექტივებს სახავენ. იგი ერთი იმათგანია, ვინც საფუძველს უყრიდა ოქტომბრის რევოლუციის მიერ განთავისუფლებული საქართველოს ახალ კულტურასა და მეცნიერებას. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მან სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი კულტურისა და ხელოვნების აყვავებისათვის ზრუნვას შეალია. თავისი თავდადებული შრომით გიორგი ჩუბინაშვილმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულ ხელოვნების მცოდნეობას.

გიორგი ჩუბინაშვილი, შვილიშვილი გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის დავით ჩუბინაშვილისა, დაიბადა 1885 წლის 21 ნოემბერს პეტერბურგში. დიდ ინტერესს საქართველოსა და ქართული კულტურის შესწავლისადმი, რომელიც მის ოჯახში პატივგარდაცვალების შემდეგაც არ შენელებულა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა გიორგი ჩუბინაშვილის, როგორც პიროვნებისა და მეცნიერის ჩამოყალიბებისათვის. უმაღლესი განათლება მან გერმანიაში მიიღო, ლაიფციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ კი საბოლოოდ გადაწყვიტა თავის სპეციალობად ქართული ხელოვნების ისტორია გაეხადა. იგი ჩაეწერა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის მსმენელად და რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და გამოჩენილი რუსი ხელოვნების ისტორიკოსის იაკობ სმირნოვის ხელმძღვანელობით, თანამშრომლობდა ნიკო მართან, რომელიც მაშინ სომხეთის ძველი დედაქალაქის ანისის გათხრებს აწარმოებდა, ხოლო 1916 წელს თვითონვე ხელმძღვანელობდა ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციას. ამასთანავე ზაფხულობით მოგზაურობდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შესასწავლად. უშუალოდ რევოლუციის წინა წლებს მიეკუთვნება მისი პირველი გამოკვლევები ძველი ქართული და სომხური ხელოვნების შესახებ.

1917 წელს გიორგი ჩუბინაშვილი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და 1918 წლის შემოდგომიდან უერთდება ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა ჯგუფს. იგი აარსებს ხელოვნების ისტორიის კათედრასა და „ხელოვნების მეცნიერების კაბინეტს“, რომელიც გადაიქცა ქართული ხელოვნების მეცნიერული კვლევის პირველ კერად. მაშინ ჩაეყარა საფუძველი სისტემურ საექსპედიციო მუშაობას და მას შემდეგ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით სამეცნიერო ექსპედიციებმა საქართველოს ყველა კუთხეში ფასდაუდებელი ფაქტობრივი მასალა მოაგროვეს. გამოვლინდა და მეცნიერულად აიზომა მრავალი ასეული ძეგლი საერო და საეკლესიო არქიტექტურისა. შესწავლილ იქნა მონუმენტური მხატვრობის, დეკორატიული კულტურისა და ოქრომჭედლობის უმდიდრესი ნიმუში. სწორედ ეს უზარმაზარი მასალა დაედო მტკიცე საფუძვლად ქართული ხელოვნების მეცნიერულ ისტორიას. „ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან“ გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით იმთავითვე შეიქმნა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელიც უფრო გვიან საფუძვლად დაედო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

სიცოცხლის ბოლომდე გიორგი ჩუბინაშვილი იყო ერთი უველაზე აქტიური მოღვაწეთაგანი ჩვენი ეროვნული ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის დარგში.

1922 წელს, როცა თბილისში დაარსდა სამხატვრო აკადემია, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე აღზარდა ქართველ ფერმწერთა, გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა, ხუროთმოძღვართა, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა მრავალი თაობა, მის პირველ რექტორად დაინიშნა გიორგი ჩუბინაშვილი.

1941 წელს გიორგი ჩუბინაშვილი ნამდვილ წევრად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში. იმავე წელიწადს იგი სათავეში ჩაუდგა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს.

გიორგი ჩუბინაშვილის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან ქართულ სიძველეთა ნაშთების თვალუწვდენი სიმრავლე მწყობრ სისტემაში მოიყვანა, თვით ძეგლები და მათი ისტორია დაუკავშირა მათი წარმომქმნელი საზოგადოების განვითარებას, პირველმა გააანალიზა ძეგლები სტილის თვალსაზრისით და ნათელი ისტორიული კონცეფციის საფუძველზე პირველმა წარმოაჩინა ქართული ხელოვნების ევოლუციის საფეხურები.

გიორგი ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვანი მონუმენტური გამოკვლევა ფართოდ არის ცნობილი. ესენია მონოგრაფიები ბოლნისის სიონის, მცხეთის ჯვრის ტიპის შენობათა, წრომის ტაძრის, კახეთის არქიტექტურის, დავით გარეჯის გამოქვაბულ მონასტერთა, შუა საუკუნეთა ოქრომჭედლობის შესახებ, ქართული ხელოვნების ისტორიის პირველი ტომი, „ქართული ხუროთმოძღვრების გზები“, მრავალი ნარკვევი ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. გიორგი ჩუბინაშვილს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის საქმეში, არაერთი წერილი უძღვნა მან ქართულ საბჭოთა ხელოვნებასაც. სულ ახლახან გამოვიდა მისი რჩეული ნაშრომების პირველი ტომი, რომელიც ფაქტიურად ასახავს ქართული საბჭოთა ხელოვნებისმცოდნეობის მთელ გზას.

გიორგი ჩუბინაშვილის ღვაწლი დიდად იყო დაფასებული. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ვინც იცნობდა გიორგი ჩუბინაშვილს, ვერ დაივიწყებს მის განსაკუთრებულ ადამიანურ თვისებებს — ურყევ პრინციპულობას, თავმდაბლობას, პირუთვნელობასა და პირდაპირობას, შრომაში თავდადებასა და შეუპოვრობას, უდრეკ ნებისყოფას, ინტერესთა სიფართოეს, დიდ გულისხმიერებას. იგი განსაკუთრებული მოკალაქეობრივი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა უოველ საქმეს, ვერ ეგუებოდა გულგრილობასა და დაუდევრობას.

გიორგი ჩუბინაშვილის — მეცნიერის, მოქალაქის, პატრიოტის — ღვაწლმა ღრმა კვალი გაავლო ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებაში და მადლიერი ხალხიც სამუდამოდ შეინახავს მის სახელს.

მცხეთელი მინდია



მცხეთას ამშვენებს ორი სახელი — არსაკიძისა და მამულაშვილისა. არსაკიძემ ხუროთმოძღვრების ნათელი ძეგლი — სვეტიცხოველი შექმნა, მიხეილ მამულაშვილმა, ცნობილმა ქართველმა მეუვავილემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს მხატვართა კავშირის საპატიო წევრმა კი — სვეტიცხოვლის ბებერი გალავნის ძირში, ნარეკავზე უვავილნარი გააშენა, სადაც დაუღალავი შრომით ხელოვნების ისეთ შედევრებს ქმნიდა, ქვეყანა გააოცა.

მიხეილ მამულაშვილმა საუკუნეს გაუსწორა თვალი — დაიბადა 1873 წელს მცხეთაში. სწავლობდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის საბაღოსნო სასწავლებელში, სადაც უცებ შენიშნეს მისი ნიჭი და უნდოდათ ვარშავის სამეურნეო აკადემიაში გაეგზავნათ, მაგრამ ოჯახურმა პირობებმა შეუშალა ხელი და თბილისში დარჩა სამუშაოდ. 1898 წელს მცხეთაში დამკვიდრდა. იმოგზაურა საზღვარგარეთ — მოიარა ჰოლანდია, შვეიცარია, საფრანგეთი, გერმანია, გაეცნო ევროპელ ოსტატთა საქმიანობას და უვავილთ ხელოვნებას ნაზიარები დაუბრუნდა მცხეთას, სადაც მოაწყო სასათბურე მეურნეობა, დეკორატიული სანერგე. ვაჟას თქმისა არ იყოს, — უსულო საგნებს სული ჩავბერე, ავასაუბრე ლოდები კლდისაო, — მცხეთელმა მინდიამაც ჩვენთვის აამტყვარა მცენარენი თუ ლოდის ნატეხნი. ჩვენთვის-მეთქი, ვამბობ, თორემ მამულაშვილისათვის ბუნებაში არ არსებობდა უტყვი და უსულო. თვალი უნდა გჭონდეს, რომ დაინახო და გულისყური, რომ გაიგო მათი საამო ჩურჩულიო, — ამბობდა ბუნების ეს კეთილი მესაიდუმლე, ერთგული მსახური. ყოველ დილით ხვდებოდა მათ, უვლიდა, ეალერსებოდა, ტკბილად ეჩურჩულებოდა. წლებით დამძიმებული, მოხრილ-მოკეცილი ბერიკაცი დილიდან გვიანობამდე დაფუსფუსებდა ბაღში. თითქოს უვავილებზე ზრუნვა უმსუბუქებდა წლთა სიმძიმეს. წლეულს კი ძალამ უმტყუნა — უვავილთ ჭირუმი ვეღარ შეხვდება გაზაფხულზე მათ გაღვიძებას. 16 იანვარს მცენარეთა ფესვებმა მისეულ უვავილნარში გულში ჩაიკრეს საუვარელი მინდია.

არ ახსოვს მამულაშვილის უვავილნარს მსგავსი ხალხმრავლობა. გულთბილი სიტყვებით გამოეთხოვნენ უზადო მამულიშვილს უჩა ჯაფარიძე, ოთარ ეგაძე, იოსებ ნონეშვილი, ეგნატე ფერაძე და სხვები.

— მალე გაზაფხული მოვა, თვალს გაახელს ია და კესანე, ბირიმზე და ენძელა და ატირდებიან, რომ მათ ჩვეული კეთილი ღიმილით აღარ შეხვდებათ გულის მესაიდუმლე მიხეილი. სიკეთის მთესველი მინდია მოაკლდათ არა მარტო მათ, არამედ მრავალ კეთილ ადამიანს. მინდია, რომელიც უვავილთა ფერების ირგვლივ დაუშრეტელ სიკეთეს თესავდა. ადამიანთა შორის სიკეთის მთესველი კი უკვდავია, — ამბობს ნიკო კეცხოველი. და მართლაც, დაუვიწყარი იქნება მამულაშვილი ხალხთა ხსოვნაში. — სანამ მცხეთა იმცხეთებს და უვავილები იუვავილებენ, მათთან ერთად თქვენც უკვდავი იქნებითო, — ჩაუწერიათ შთაბეჭდილებათა წიგნში მისი ხელოვნებით მოხიბლულთ. მრავალი აღფრთოვანებული სიტყვა შეიძლება წაიკითხოთ აქ.

● — უვავილები სილამაზეა, სიცოცხლეა, სიხარული და მუსიკა ცხოვრებაში. დიდება მის მარჯვენას, ვინც ეს ბაღი შექმნა.

ნიკოლოზ ტიხონოვი

● — გვაოცებს ბუნებისადმი ის დიდი სიყვარული, რომელიც ესე უხვად არის მოფენილი ამ უვავილნარში. გულითადი მადლობა მშვენიერი ხელოვნებისათვის. დღეგრძელი იყავით მარად. დაე, მშვიდობა იყოს მარად ამ სახლში.

როკუელ კენტი

● — თქვენი ბაღი მუსიკაა და პოეზია. თქვენი ხელოვნება — საქართველოს სიამაყე.

მორის ტორეზი

● — უვავილების დიდოსტატის — მიხეილ მამულაშვილის წინაშე მოწიწებით ვიხრი ქედს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და წარმატებებს უველაზე დაბალი რანგის მეუვავილეთაგან.

მიხეილ ბოტვინიკი

● — იხაროს თქვენმა მადლიანმა ჭარბთოლამ ხელმა, აღტაცებული ვარ თქვენ მიერ შექმნილი მიწიერი სამოთხის ბაღით.

ლეონიდ ლეონოვი

● — უვავილების მეტი რა გვინახავს ჰოლანდიელებს, მაგრამ მამულაშვილის უვავილნარი საოცრებაა!

იაკობ როზენი, ჰოლანდიელი მეუვავილე

● — კურთხეულ იყოს თქვენი მარჯვენა — უვავილების პოეტო და ბუნების მესაიდუმლევ!

კონსტანტინ ფედინი

● — დიდად კმაუოფილი დავრჩი თქვენი ბაღით, უვავილების ფერთა სიუხვითა და უვავილებისაგან წარმოსახული სხვადასხვა სურათით. გვაკვირვებს ეს სურათები.

იაროშირ იედლიჩკა

● — მამულაშვილი უდიდესი მხატვარია, უდიდესი პოეტი, იგი არაჩვეულებრივად დიდი სასწაულია საქართველოსი.

რაფაელ ალბერტი, ესპანელი პოეტი

● — უმშვენიერესი ბაღია! სიტყვები არ მყოფნის გრძნობების გამოსახატავად. თქვენ ადამიანთა ცხოვრებას ალამაზებთ.

კავასაკი, იაპონელი კინორეჟისორი

● — დიდი მადლობა მიღებული სიამოვნებისათვის, ბუნების ამ მუსიკისთვის.

სვიატოსლავ რიხტერი

● — სილამაზის ესე ამღერება, ბუნების ამეტყველება, მხოლოდ დიდი ბუნების ადამიანს შეუძლია.

ანრი ფუჟერონი

მიხეილ მამულაშვილთან გამოსათხოვარს დავამთავრებთ ფრანგი მწერლის **ჟან პოლ სარტრის** ჩანაწერით — ის, რაც აქ ვიხილეთ, ძნელია ენით აღწერო. უნდა იხილოთ, რომ მიიღოთ უდიდესი სიამოვნება.



მხცოვანი მამულიშვილნი — გიორგი ჩუბინაშვილი და მიხეილ მამულაშვილი.

ვისხედით ერთ ვაგონში...

თემურ ჩალაბაშვილი

შენ არ მოუკვდი ქართველთა მიწას,
შენს ბაღს დაატყდა დღეს სიმარტოვე,
ეგ გული ვარდის ფერად დაიწვა,
ეგ სული ვარდის სუნთქვად დასტოვე.
რად გაუჩინე დარდი მცხეთელებს,
ნეტავ, ამ სიკვდილს რა ემართება?
მესმის სიცოცხლე წვართვას ხელებს,
სავარდე ხელებს რას ემართება.
ერთი ღიმილიც დაკლდა ზაფხულს,
შენი ფაჩუნი მიწას აკლია.
ალბათ, გვძინა ვარდებში ჩაფლულს
და უკვდავების აქ მოგაკლია.
ტკბილო მოხუცო, რა გიჭირს მაშინ,
როცა აქ ტოვებ ბაღის მარჩენალს,
ყოველ გაზაფხულს შეხვდები ტაშით,
საფლავშიც იგრძნობ ვარდის გაჩენას.

რედაქტორი
გივი კარგელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.